



უკვე რამდენიმე წელია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს თურქულ ენას ასწავლიან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

კულტურათა დაახლოების მიზნით იუნესკოს პროექტის ფარგლებში კულტურათაშორისი კომუნიკაციების განყოფილების მიერ დაგეგმილ ღონისძიებათა შორის იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების ერთობლივი ექსკურსია თურქეთში, რომელიც მთლიანად დააფინანსა თურქულმა მხარემ.

10-13 ივნისს ექსკურსია მოეწყო ტრაპზონში. სტუდენტებმა დაათვალიერეს ქართული მონასტრები, ქალაქის ღირსშესანიშნაობები, შეხვდნენ თურქ თანატოლებს, ადგილობრივ მოსახლეობას.